



3242/3-106/21 2 09042021



3242/3-106/21
09-04-2021

საქართველოს თავდაცვის მინისტრს,
ბატონ ჯუანშერ ბურჭულაძეს

მისამართი: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა 20.

ბატონო ჯუანშერ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია, საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეების სოციალური დაცვის გაუმჯობესების კუთხით, 2013-2020 წლებში გადადგმული ნაბიჯების შესახებ (მათ შორის, სამედიცინო დაზღვევა, ბინათმშენებლობა, ხელფასები და ა.შ.).

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ვლადიმერ ჩაჩიბაია



საქართველოს თავდაცვის მინისტრი



MOD 1 21 00413060

07/05/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ ვლადიმერ ჩაჩიბაიას

ბატონო ვლადიმერ,

თქვენი მიმდინარე წლის 9 აპრილის №3242/3-106/21 (რეგისტრაციის №322747, 12/04/2021წ.) წერილის პასუხად, დანართის სახით წარმოგიდგენთ ინფორმაციას სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობების გაუმჯობესებისთვის 2013-2020 წლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

დანართი: 13 (ცამეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

მინისტრი
ჯუანშერ ბურჭულაძე



სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობების გაუმჯობესებისთვის 2013-2020 წლებში განხორციელებული ღონისძიებები

მატერიალური უზრუნველყოფის მიმართულებით:

- 2013 წლის იანვრიდან, გაიზარდა სამშვიდობო მისიებში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პერსონალის სამივლინებო ყოველთვიური ნორმები.
- 2013 წლის აგვისტოდან, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის „საქართველოს თავდაცვის ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობის ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელების დროს, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპვის ან მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო გარდაცვალების შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით (განკარგულებით) მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება 100 000 ლარის ოდენობით.
- 2013 წლის თებერვლიდან, სამხედრო მოსამსახურეთა და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირთა თანამდებობრივი სარგო გაიზარდა 25%, ხოლო სამოქალაქო პერსონალს თანამდებობრივი სარგო - 20%-ით.
- 2013 წლის მარტიდან, თავდაცვის სამინისტროში ფუნქციონირებს სოციალური, სამედიცინო და ფინანსური დახმარების თაობაზე შემოსული კორესპონდენციის განმხილველი კომისია.
- 2013 წლის ოქტომბრიდან, საომარ მოქმედებებში და საერთაშორისო ოპერაციებში მძიმედ დაჭრილ მოსამსახურეებს დაუწესდათ ყოველთვიური დანამატი - 200 ლარის ოდენობით.
- 2014 წლის სექტემბრიდან, შეიცვალა თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების წესი და თანამდებობრივი ანაზღაურების სისტემიდან გადავიდა წოდებრივი ანაზღაურების სისტემაზე.
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეებს, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი შვილი, 2015 წლის იანვრიდან, დაენიშნათ 250-დან 700 ლარამდე დანამატი.
- 2016 წლის სექტემბრიდან, საომარ მოქმედებებში და საერთაშორისო ოპერაციებში მძიმედ დაჭრილთა დანამატი 200 ლარიდან გაიზარდა 400 ლარამდე.
- 2016 წლის ოქტომბრიდან, საქართველოს თავდაცვის ძალების სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს/მეთაურებს და სერჟანტებს დაენიშნათ დანამატები - 125-დან 1,250 ლარამდე, ხოლო 2018 წლის 1 იანვრიდან, დანამატები განისაზღვრა 375-დან 1,500 ლარამდე.

- 2016 წლის ოქტომბრიდან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეს, შვილის შეძენის შემთხვევაში, მიეცემა ერთჯერადი დახმარება - 1,250 ლარის ოდენობით.
- 2017 წლის მარტიდან, სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეებს ხელფასი გაეზარდათ 9 ლარიდან 63 ლარამდე.
- საომარ მოქმედებებში და საერთაშორისო ოპერაციებში დაღუპულ მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს (დედა, მამა, მეუღლე, და, ძმა), რომლებიც დასაქმებული არიან თავდაცვის სამინისტროში, 2017 წლის მაისიდან, დაენიშნათ 180-დან 380 ლარამდე ოდენობის დანამატები.
- 2018 წლის მაისიდან, „საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამაში“ (GDRP) ჩართული ქვედანაყოფების სამხედრო მოსამსახურეებს დაუწესდათ ყოველთვიური დანამატი - 100-დან 510 ლარამდე.
- 2018 წლის დეკემბრიდან, ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის სპეცტექნიკის ოპერატორებს და მძღოლებს 18%-ით გაეზარდათ ხელფასი.
- 2019 წლიდან, საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურში გასაწვევად შერჩეულ პირებს, შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფში ძირითად შტატზე დანიშვნამდე, საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის (BCT) დასრულების შემთხვევაში, მიეცემათ სარგო -250 ლარის ოდენობით.
- 2019 წლიდან, წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) ცენტრის სამხედრო მოსამსახურეებს დაუწესდათ ყოველთვიური დანამატები - 75-დან 475 ლარამდე.
- ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის მძღოლებს გაეზარდათ თანამდებობრივი სარგო 125 ლარის ოდენობით.
- კავშირგაბმულობის ცენტრის ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურის ქსელებისა და სისტემების ადმინისტრირების ქვედანაყოფილების მოსამსახურეებს დაუწესდათ ყოველთვიური დანამატი - 500 და 550 ლარის ოდენობით.
- 2020 წლის აპრილიდან, მოსამსახურეებს, რომლებიც გადიან საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) კურსს, კურსის განმავლობაში ეძლევათ წოდებრივი სარგო ყოველთვიურად 500 ლარის ოდენობით, ფაქტობრივად ნამსახურები კალენდარული დღეების პროპორციულად.
- 2020 წლიდან, განხორციელდა ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკრებისათვის სტიპენდიების ზრდა (დაახლოებით 200 ლარით) და დიფერენცირება აკადემიური მოსწრების შესაბამისად (BCT-ის დასრულების შემდეგ, ყველა იუნკერი მიიღებს 200 ლარს, ხოლო დამატებით 100, 200 ან 300 ლარის მიღება დამოკიდებულია აკადემიურ მოსწრებაზე).
- 2020 წლიდან, პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურეებს პირადი სურვილის საფუძველზე, სამინისტროსთან შეთანხმებით, სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში, მიეცემათ ერთჯერადი გასასვლელი დახმარება 40 000 ლარის ოდენობით.

- 2019 წლის ნოემბერში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეებს, GDRP პროგრამის დანამატის შესაბამისად, გაეზარდათ სახელფასო ანაზღაურება. 2020 წლის იანვარში კი, GDRP დანამატი (100-დან 510 ლარამდე), მასტერ-სერჟანტის და ზევით წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურეებისთვის, აისახა წოდებრივ სარგოში, რის შედეგადაც წოდებრივი სარგო გაიზარდა შემდგომში:

N	წოდება	2020 წლის იანვრამდე	2020 წლის იანვრიდან
1	არმიის გენერალი	4,300	5,700
2	გენერალ-ლეიტენანტი, ადმირალი	3,700	4,700
3	გენერალ-მაიორი, ვიცე-ადმირალი	3,100	3,800
4	ბრიგადის გენერალი, კონტრ-ადმირალი	2,500	3,000
5	პოლკოვნიკი, I რანგის კაპიტანი	1,920	2,250
6	ვიცე-პოლკოვნიკი, II რანგის კაპიტანი	1,500	1,800
7	მაიორი, III რანგის კაპიტანი	1,280	1,545
8	კაპიტანი, კაპიტან-ლეიტენანტი	1,220	1,430
9	უფროსი ლეიტენანტი	1,185	1,360
10	ლეიტენანტი	1,170	1,295
11	მთავარი სერჟანტი, მთავარი მიჩმანი	1,350	1,700
12	მასტერ სერჟანტი, მასტერ მიჩმანი	1,075	1,485

ღირსეული საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის მიმართულებით:

- 2014-2017 წლებში, ქ. თბილისში, აბაშვილის ქუჩაზე, N3 სამხედრო ქალაქში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე განხორცილედა 3 (სამი) რვა სართულიანი და 4 (ოთხი) ცხა სართულიანი კორპუსის მშენებლობა. აღნიშნულ კორპუსებში არსებული ბინები საკუთრებაში გადაეცათ იმ მოქმედ და ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებს ვის მიმართაც სამინისტროს საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 19 მარტის “ოფიცრის სამხედრო წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურეების მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ” №135 ბრძანებით დამტკიცებული კონტრაქტის საფუძველზე გააჩნდა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ვალდებულება, აგრეთვე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაჭრილ და დასახიჩრებულ სამხედრო მოსამსახურეებსა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრებს. აღნიშნულ ლოკაციაზე, 2007 წლის 19 მარტის №135 ბრძანებით დამტკიცებული კონტრაქტის საფუძველზე, სამხედრო მოსამსახურეების ბინებით უზრუნველყოფის მიზნით, დღესაც აქტიურად მიმდინარეობს 2 ცხრასართულიანი (N13 და N15) კორპუსის სამშენებლო სამუშაოები.

- 2014-2019 წლებში, ქალაქ გორში, ცხინვალის გზატკეცილი N50-ში გარემონტდა საცხოვრებელი კორპუსი, ბინები სამსახურებრივ სარგებლობაში გადაეცათ მოქმედ სამხედრო მოსამსახურეებს.
- "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის მოსამსახურეების საბინაო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 24 იანვრის №71 ბრძანების შესაბამისად, მახათას მთაზე მიმდინარეობს ბინათმშენებლობის ამხანაგობა "არმისითისთვის" განკუთვნილი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, პროექტი ითვალისწინებს 1092 ბინის სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას.

ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით:

- 2013 წლიდან, შეიცვალა დიფერენცირებული ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი და ყველა სამხედრო მოსამსახურე სარგებლობს ჯანმრთელობის დაზღვევის „საბაზისო“ სტანდარტული პაკეტით.
- 2013 წლიდან დღემდე, გაიზარდა გეგმური ამბულატორიული მომსახურების ლიმიტი, რომელიც შეადგენდა 500 ლარს. ეტაპობრივი ზრდის შედეგად, კი, დღეს ლიმიტი 2 500 ლარს შეადგენს. სადაზღვეო პაკეტი ასევე ითვალისწინებს 2 000 ლარის ოდენობით ქველიმიტს (გეგმური ამბულატორიული ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში), რომელიც დაზღვეულ პირებს საშუალებას აძლევს, ამბულატორიული სამედიცინო სერვისები, ძირითადი ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში, მიიღონ შეუფერხებლად, 50%-იანი თანადაფინანსებით.
- 2013 წლიდან დღემდე, გაიზარდა გეგმური სტაციონარული მომსახურების ლიმიტიც, რომელიც შეადგენდა 5 000 ლარს. ეტაპობრივი ზრდის შედეგად, დღეს ლიმიტი 20 000 ლარს შეადგენს. დაზღვეულ პირებს შეუძლიათ, მთელი საქართველოს მასშტაბით, გეგმური ჰოსპიტალური სერვისები შეუფერხებლად, თავისუფალი არჩევანის პრინციპით მიიღონ.
- 2013 წლიდან დღემდე, გამონაკლისებს აღარ მიეკუთვნება თანდაყოლილი ან/და გენეტიკური პათოლოგიების გადაუდებელი სტაციონარული ხარჯების დაფარვა. ასევე, გამონაკლისის სტატუსი მოეხსნა: ფიზიო პროცედურების ხარჯებს, შიდსის, ნებისმიერი გენეზის ჰეპატიტებთან დაკავშირებული მწვავე/გადაუდებელი მდგომარეობის მართვა-მკურნალობის ხარჯებს, ეპილეფსიასთან დაკავშირებულ სამედიცინო მომსახურების ხარჯებს, შაქრიანი და უშაქრო დიაბეტის მწვავე ან/და გადაუდებელი შემთხვევებთან დაკავშირებული კონსერვატიული და სტაციონარული მკურნალობის ხარჯებ. ასევე, განისაზღვრა ონკოლოგიური/ქიმიოთერაპია/სხვივური თერაპიის და კარდიოქირურგია/ინტერვენციული კარდიოლოგიის ქველიმიტები 15 000 ლარის ოდენობით, 100%-იანი დაფარვით. გადაუდებელი ამბულატორიული, გადაუდებელი ჰოსპიტალური და გადაუდებელი სტომატოლოგიური სერვისების მიღება კი, ულიმიტოა.

- 2013 წლიდან დღემდე, გაიზარდა სადაზღვევო კომპანიის სერვისცენტრების რაოდენობა როგორც რეგიონებში, ისე დედაქალაქში. ასევე გაიზარდა სადაზღვევო კომპანიის ასისტანსის სამსახურის (ე.წ. „ცხელი ხაზი“) ოპერატორების ოდენობაც. თბილისსა და რეგიონებში გაფართოვდა პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულებების ქსელიც.
- 2013 წლიდან დღემდე, ერთმანეთისაგან გაიმიჯნა და 500 ლარიდან 1500 ლარამდე გაიზარდა ორსულობა-მშობიარობის ლიმიტი. ასევე დაწესდა 200 ლარიანი ქველიმიტი, პრივატული ექიმის ჰონორარის დასაფარად.
- 2018 წლიდან, მოქმედებს მედიკამენტების დაფარვის სერვისი 70%-იანი თანადაფინანსებით, 2500 ლარიანი ლიმიტის ფარგლებში.
- 2019 წლიდან, ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტში გაჩნდა გეგმური სტომატოლოგიური სერვისები, რომლის მიღებაც დაზღვეულ პირებს შეუძლიათ პროვაიდერ სტომატოლოგიურ კლინიკებში 50%-იანი დაფარვით, 2000 ლარიანი ლიმიტის ფარგლებში.
- 2019 წლიდან, გაიზარდა ხელმისაწვდომობა პირველადი ჯანდაცვის რგოლის სამედიცინო სერვისებზე (გეგმური ამბულატორია). აღნიშნული ზრდა გამოიწვია ოჯახის ექიმების (პირადი ექიმი) ლოკაციების დამატებამ, როგორც თბილისში ასევე რეგიონებში. ასევე ჯანმრთელობის დაზღვევის პირობებში გაჩნდა „თავისუფალი არჩევანის“ პრინციპი, რაც დაზღვეულ პირებს საშუალებას აძლევს მათთვის რეკომენდებული მომსახურება (სამედიცინო ჩვენების შემთხვევაში) მიიღონ ნებისმიერ ლიცენზირებულ კლინიკებში.
- 2021 წლიდან, სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, სამხედრო მოსამსახურეებს და უწყების სხვა თანამშრომლებს, სურვილის შემთხვევაში, შესაძლებლობა ეძლევათ დააზღვიონ მეუღლეები 65 წელს ზემოთ, შვილები 22 წელს ზემოთ, მშობლები (ასაკის შეუზღუდავად), ასევე ოჯახის სხვა წევრები (და/ძმა) ასაკის შეუზღუდავად.
- გარდა სადაზღვევო პაკეტისა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებს შორის გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე, სამინისტროს მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ შეთავაზებული მომსახურების შეღავათიანი (ფასადკლება) პირობებით.
- სსიპ-გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი, ქალაქ გორში და ქალაქ ქუთისში, უფასო სამედიცინო მომსახურებას სთავაზობს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ პირებს, ასევე შეღავათიან ფასებში შეუძლიათ მომსახურების მიღება მათი ოჯახის წევრებს.
- უფასო სამედიცინო მომსახურებით სარგებლობენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლებსა და საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრებიც.

განათლების ხელშეწყობის მიმართულებით:

- 2020 წლის აგვისტოდან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს (მეუღლე, შვილი) საქართველოს ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებში აკრედიტებულ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლისას უფინანსდებათ მათ მიერ გადასახდელი სწავლის წლიური საფასური, არაუმეტეს 1125 ლარის ოდენობით (გადასახადებისა და საპენსიო შენატანის გარეშე), ასევე, მაღალი აკადემიური მოსწრებისთვის ეძლევათ სტიპენდია სემესტრულად 750 ლარის ოდენობით (გადასახადებისა და საპენსიო შენატანის გარეშე).
- 2020 წელს, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლების და თავდაცვის სამინისტროს მოლაპარაკებების შედეგად, 30-მდე უმაღლეს სასწავლებლთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რის საფუძველზეც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები (მეუღლე, შვილი) სარგებლობენ სწავლის წლიური საფასურის 10% 20% და 50% იანი თანადაფინანსებით, სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი გრაფიკით და სხვა შეღავათებით.

დაჭრილ-დაშავებული სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვა

- თავდაცვის სამინისტრო მუდმივად ახორციელებს დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების ტრავმების სკრინინგს, საჭიროების მიხედვით, სამედიცინო ინტერვენციებს უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე (აშშ, ავსტრია, გერმანია).
- სოციალური, სამედიცინო და ფინანსური დახმარების თაობაზე შემოსული კორესპონდენციის განმხილველი კომისიის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებს, მათ შორის დაჭრილ/დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ერთჯერადი ფინანსური დახმარება ისეთი ჯანმრთელობის პრობლემების გადასაჭრელად, რომელსაც ვერ ფარავს უწყებაში არსებული სოციალური და სამედიცინო პროგრამები. ამასთანავე, საჭიროების მიხედვით, მინისტრი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, გასცემს ერთჯერად ფინანსურ დახმარებებს.
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იმ სამხედრო მოსამსახურეებს, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირებს, რომლებსაც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის, ან სხვა სახის სამშვიდობო ოპერაციებში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის შედეგად, ასევე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაჭრის ან ტრამვის მიღების გამო

ჩაუტარდათ კიდურ(ებ)ის ნებისმიერი დონის ამპუტაცია ან აღენიშნებათ თვალის ცალმხრივი/ორმხრივი ანოფთალმი/სიბრმავე ან მიენიჭათ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, ეძლეოდათ ყოველთვიური დანამატი 400 ლარის ოდენობით. 2020 წლის იანვრიდან თავდაცვის სამინისტროს დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებს, დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე, დაუწესდათ დანამატი 200-დან 800 ლარამდე.

- „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე სამხედრო მოსამსახურეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაჭრის/დაშავების შემთხვევაში, სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება შემდეგი ოდენობით: სხეულის მძიმე დაზიანება – 7000 ლარი; ნაკლებად მძიმე დაზიანება – 3000 ლარი.
- თავდაცვის სამინისტრო სისტემატიურად უზრუნველყოფს დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების საპროტეზო-ორთოპედიული საჭიროებების დაკმაყოფილებას. ამ კუთხით უწყება თანამშრომლობს შპს „რეაბილიტაცია-ადაპტაციის ეროვნულ ცენტრთან“.
- 2013-2014 წლებში 19 სამხედრო მოსამსახურეს დაუმზადდა კომპანია “Otto Bock”-ის GENIUM X-3 ტიპის ელექტრონული მუხლის და ზედა კიდურის პროთეზი. ხოლო 2017 წელს გაფორმდა საგარანტიო მომსახურების ხელშეკრულება სამი წლის ვადით, რომლის ფარგლებშიც წელიწადში ერთხელ ხორციელდებოდა პროთეზების ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სპეციალისტების მიერ.
- სამინისტრო დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებს უზრუნველყოფს როგორც მექანიკური, ისე ელექტრო ეტლებით და გადაადგილების სხვა დამხმარე საშუალებებით.
- ანოფთალმის მქონე სამხედრო მოსამსახურეებს საჭიროების მიხედვით უტარდებათ თვალის რეპროტეზირება;
- მარო მაცაშვილის სახელობის სამხედრო მოსამსახურეთა სარეაბილიტაციო ცენტრში (დაბა წეროვანი) საქართველოს თავდაცვის ძალების დაჭრილ/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები სისტემატიურად გადიან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას, რეკრეაციულ თერაპიას. სარეაბილიტაციო კურსს ახორციელებს გუნდი, რომელიც დაკომპლექტებულია სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებით (ექიმ-რეაბილიტოლოგი, ოკუპაციური და ფიზიკური თერაპევტი, ქეის-მენეჯერი, პროტეზისტ-ორთოდისტი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი).
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მოქმედებს ქეის-მენეჯმენტის პროგრამა, რაც მოიცავს დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრებთან ინდივიდუალურ მუშაობას, სამედიცინო, სოციალური, ფსიქოლოგიური და საგანმანათლებლო საჭიროებების უზრუნველყოფის მიზნით. ქეის-მენეჯერთა სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს გრძელვადიან სამკურნალო შვებულებაში მყოფი დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეები.

- ა(ა)იპ „დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი“ ახორციელებს სამინისტროს სისტემის მძიმე და ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანების მქონე დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირების, ასევე მათი არასრულწლოვანი შვილების სამედიცინო დახმარების დაფინანსებას/თანადაფინანსებას. ასევე, დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე, შესაბამისი ადაპტირებული გარემოს შექმნას (საცხოვრებელი ბინების ადაპტირება, პანდუსის მოწყობა, საჭირო დამხმარე ინვენტარით უზრუნველყოფა).
- 2018 წელს გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს“ შორის. სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტო“ თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეებს, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში, სამშვიდობო ოპერაციებსა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებს და მათ ოჯახის წევრებს, საქართველოს კულტურულ-ისტორიული ძეგლების უკეთ გაცნობის მიზნით, მუზეუმების მომსახურებით საფასურის გარეშე სარგებლობას და სააგენტოს მიერ ორგანიზებული ღონისძიებებში ჩართვის შესაძლებლობას სთავაზობს.
- სასტუმრო „ჰოთელს და პრეფერენსს ჰუალინგ თბილისი“ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში, საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის, აგრეთვე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამინისტროს დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებს სთავაზობს სასტუმროს რეკრეაციული ცენტრის უფასო სერვისების შეთავაზებას. მემორანდუმის ფარგლებში მომსახურებას იღებენ ის დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეები, რომლებსაც სჭირდებათ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.
- 2019 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დალუპული სამხედრო მოსამსახურეების, მრავალშვილიანი და გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურეების შვილებს ეძლევათ შესაძლებლობა, სასახლეში არსებულ სასწავლო-შემოქმედებით წრეებზე უფასოდ მიიღონ დამატებითი განათლება სხვადასხვა მიმართულებით.
- ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (გაუ) -დაჭრილ/დაშავებულ სამხედროებსა და მათი ოჯახის წევრებს უზრუნველყოფს უფასო იურიდიული კონსულტაციებით.
- კალათბურთის, ფეხბურთისა და რაგბის ფედერაციები დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეებს საერთაშორისო და ადგილობრივ თამაშებზე უსასყიდლოდ სთავაზობენ ბილეთების გარკვეულ რაოდენობას.
- დიდი ბრიტანეთის საელჩოსა და ინგლისური ენის სასწავლო ცენტრ - „ბრიტანული კუთხის“ მხარდაჭერით, სამი წლის განმავლობაში 13 დალუპული სამხედრო მოსამსახურისა და 7 დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურის შვილი გადის ინგლისური ენის გრძელვადიან შემსწავლელ კურსს საგანმანათლებლო ცენტრში „ბრიტანული კუთხე“.

- 2017-2018 წლებში დაჭრილი/დაშავებული/დაღუპული და მისიაში მყოფი სამხედრო მოსამსახურეების შვილებმა მონაწილეობა მიიღეს ანაკლიის „მომავლის ბანაკსა“ და ქუთაისის „რობოტექნიკის“ საზაფხულო ბანაკებში.
- 2018 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და ააიპ „საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნულ ფედერაციას“ შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის მიზანია სამხედრო მოსამსახურეების შვილების ჩართვა ფედერაციის მიერ ორგანიზებულ პროექტებსა და პროგრამებში როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.
- 2018 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატულ თეატრს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის თანახმად სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატულ თეატრი საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეებს და მათ ოჯახის წევრებს სთავაზობს უფასო ბილეთებს.
- 2019 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „ერისიონს“ შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის თანახმად საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეების შვილები, „ერისიონი“-ს სტუდიაში 50% ფასდაკლებით შეისწავლიან ქართულ ხალხურ საკრავებზე დაკვრას, ცეკვასა და სიმღერას.
- 2019 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შპს „ბასტი ბუბუს“ შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. რომელიც მოიცავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების შვილების 50% ფასდაკლებით მომსახურებას.
- დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეები პერიოდულად უსასყიდლოდ სარგებლობენ შემდეგი მუზეუმის მომსახურებით:
 - საქართველოს ეროვნული მუზეუმი;
 - ხელოვნების სასახლე;
 - ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური სახლ-მუზეუმი;
 - გალაქტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმი;
 - ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი;
 - მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმი;
 - მიხეილ-ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი;
 - ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური ბინა-მუზეუმი;
 - ლესია უკრაინკას სახელობის მუზეუმი;
 - უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტორული მუზეუმ-ნაკრძალი;
 - მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი.
- „ფიტპას ბარათი“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეები და სამოქალაქო პირები, ასევე მათი ოჯახის წევრები, სარგებლობენ კორპორაციული ფასდაკლებით 100-მდე სხვადასხვა სპორტულ-გამაჯანსაღებელ და ფიტნეს ცენტრებში.

- 2014 წლის 2-13 მარტს კალიფორნიაში, საზღვაო ქვეითთა ბაზა პენდელტონში გაიმართა სპორტული შეჯიბრებები დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა შორის, სადაც მონაწილეობა მიიღო 10 ქვეყნის 350 დაჭრილმა სამხედრო მოსამსახურემ. მონაწილეები დაჯგუფებულნი გახლდნენ მძიმე, საშუალო და მსუბუქი კატეგორიის ტრამპების მიხედვით. შედეგი: 1 ოქრო, 1 ვერცხლი, 1 ბრინჯაო (მშვილდით სროლა, პნევმატური იარაღიდან სროლა).
- 2014 წლის 7 მაისს ქ. თბილისში ნინო სალუქვაძის სახელობის ტირში ჩატარდა საქართველოს ეროვნული პარაოლიმპიური კომიტეტის მიერ ორგანიზებული საქართველოს ჩემპიონატი პნევმატური იარაღით სროლაში. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ISAF-ის სამშვიდობო მისიაში დაშავებულმა სამხედრო მოსამსახურეებმა.
- 2014 წლის 7 სექტემბრიდან 16 სექტემბრის ჩათვლით, ქ. ლონდონში (დიდი ბრიტანეთი) დაშავებულმა სამხედრო მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს “ძლიერთა თამაშებში” (INVICTUS GAMES), სპორტის 5 სახეობაში: ცურვა, მშვილდოსნობა, ნიჩბოსნობა, მძლეოსნობა და მჯდომარე ფრენბურთი. შედეგი: მშვილდით სროლაში საპრიზო მესამე ადგილი; მჯდომარე ფრენბურთში გუნდური მეოთხე ადგილი;
- 2015 წლის 28 თებერვალიდან 14 მარტის ჩათვლით კალიფორნიაში, საზღვაო ქვეითთა ბაზა პენდელტონში გაიმართა „საზღვაო ქვეითთა თამაშები“, სადაც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად, ქართველმა დაჭრილმა/დაშავებულმა სამხედრო მოსამსახურეებმაც მიიღეს მონაწილეობა. შედეგი: მჯდომარე ფრენბურთი - პირველი ადგილი (ოქროს მედალი); მშვილდით სროლა - პირველი ადგილი (ოქროს მედალი), მეორე ადგილი (ვერცხლის მედალი); პნევმატური იარაღიდან სროლა - პირველი ადგილი (ოქროს მედალი).
- 2015 წლის 21 ოქტომბრიდან 28 ოქტომბრის ჩათვლით, ქ. ვაშინგტონში გაიმართა საზღვაო ქვეითთა 42 კილომეტრიანი მარათონი, სადაც მონაწილეობა მიიღო 4-მა დაშავებულმა სამხედრო მოსამსახურემ.
- საქართველოს თავდაცვის ძალების დაჭრილმა სამხედრო მოსამსახურემ დაამყარა ორგზის გინესისა და მსოფლიო რეკორდი აზიდვებში (ფლენჩის სახეობა); იგი გახლავთ პარამოფარიკავე და პარამკლავჭიდელი; ფარიკაობა- საქართველოს ჩემპიონატის 2 ოქროს მედალი; პარამოფარიკავეთა მსოფლიო ოცეულის წევრი; პარამკლავჭიდი - მსოფლიო ჩემპიონატის ვიცეჩემპიონი, ორგზის ვერცხლის მედლის მფლობელი.
- 2016 წლის 2 მაისიდან 12 მაისის ჩათვლით, დაჭრილ/დაშავებულმა სამხედრო მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს ძლიერთა თამაშებში (Invictus Games 2016), აშშ-ში ქ. ორლანდოში, სადაც გუნდმა გუნდურ თამაშებში მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო 100 მეტრიან დისტანციაზე სირბილში ვერცხლის მედალი აიღო სერჟანტმა. „ძლიერთა თამაშების“ გამარჯვებულებისთვის სპონსორებისგან, კომპანიებისგან - JAGUAR-ი და LAND ROVER-ი, დამატებით დაწესებული იყო სპეციალური ჯილდო. პრიზები ინდივიდუალურად ორ-ორი ათლეტისთვის იყო განკუთვნილი. თუმცა, „ძლიერთა თამაშების“ აღმასრულებელმა თავმჯდომარემ, ქალბატონმა ვიქტორია გოსლინგმა და კომპანიების წარმომადგენლებმა დაუშვეს გამონაკლისი და LAND ROVER-ის ჯილდო: The Land Rover Above and Beyond Award

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მუდომარე ფრენბურთის გუნდს გადასცეს. როგორც საერთაშორისო თამაშების ორგანიზატორებმა და სპონსორებმა აღნიშნეს, ქართველთა ასპარეზობამ გაუტეხელი ხასიათი, მეზრდოლი სული და ურთიერთთანადგომა მთელს მსოფლიოს დაანახა, რაც ზუსტად გამოხატავს „ძლიერთა თამაშების“ სულისკვეთებას.

- 2016 წლის 16-20 მაისს ქალაქ ტურინში, იტალიაში, გაიმართა ევროპის ჩემპიონატი პარაფარიკაობაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ორმა დაჭრილმა სამხედრო მოსამსახურემ.
- 2016 წლის 13-19 ივნისს ქალაქ დიუსბურგში, გერმანიაში, გაიმართა რიოს ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო შეჯიბრება კანოე-კაიკში. აღნიშნულ თამაშებში მონაწილეობა მიიღო ორმა დაჭრილმა სამხედრო მოსამსახურემ.
- ISAF სამშვიდობო მისიაში დაჭრილმა (ამპუტირებული) სამხედრო მოსამსახურემ თანმხლებ პირთან ერთად (მეუღლე) მონაწილეობა მიიღო 2016 წლის 8-15 ივნისს გამართულ მარშირებაში რთულ რელიეფზე, დაჭრილ/დაშავებულ სამხედროებს შორის ქ. ედინბურგში, შოტლანდიაში, სადაც 22 კილომეტრიანი დისტანციის დაფარვისთვის ბრინჯაოს მედალი გადაეცა. უნდა აღინიშნოს, რომ ის გახლდათ ერთადერთი ამპუტირებული სამხედრო, ვინც შეძლო აღნიშნული მანძილის გავლა.
- 2016 წლის 28 სექტემბრიდან 3 ოქტომბრის ჩათვლით უზბეკეთში, ქ. სამარყანდში ჩატარდა აზიის პარაკანოეს პირველი ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ორმა დაჭრილმა და დაშავებულმა სამხედრო მოსამსახურემ.
- 2016 წლის 6-9 ოქტომბერს პოლონეთის ქ. ვროცლავში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი მუდომარე ფრენბურთში, სადაც მონაწილეობა მიიღო 8 დაჭრილმა სამხედრო მოსამსახურემ.
- 2016 წლის 23 ოქტომბერს კომპანია „ჰაიდელბერგცემენტის“ ორგანიზებით გაიმართა რიგით მეხუთე საქველმოქმედო ტიპის „თბილისი მარათონი“, სადაც მონაწილეობა მიიღო თავდაცვის სამინისტროს 112 თანამშრომელმა, მათ შორის შვიდმა დაჭრილმა და დაშავებულმა სამხედრო მოსამსახურემ, ასევე 2008 წელს დაღუპული სამხედრო მოსამსახურის შვილმა.
- 2016 წლის საქართველოს თავდაცვის ძალების დაჭრილმა/დაშავებულმა სამხედრო მოსამსახურეებმა აშშ-ს დედაქალაქ ვაშინგტონში საზღვაო ქვეითთა ყოველწლიურ 41-ე მარათონში მიიღეს მონაწილეობა. ქართველმა სამხედროებმა წარმატებით დაფარეს 42 კილომეტრიანი დისტანცია. საქართველოს თავდაცვის ძალების დაშავებული სამხედროები მარათონში „Allied Forces Foundation“-ის მხარდაჭერით ჩაერთნენ.
- 2016 წლის 29 ნოემბრიდან 3 დეკემბრის ჩათვლით შშმ პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრის ორგანიზებით გაიმართა პარასპორტის კვირეული. ტურნირში ცხრა სახეობა იყო წარმოდგენილი, რომელშიც მონაწილეობა ცხრა დაჭრილმა/დაშავებულმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო შემდეგ სპორტულ სახეობებში: პარაკალათბურთი, ეტლით ფარიკაობა, პარამშვილდოსნობა, მუდომარე ფრენბურთი.
- 2017 წლის 19-25 ოქტომბერს სამშვიდობო მისიებსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში დაშავებულმა ოთხმა სამხედრო მოსამსახურემ

მონაწილეობა მიიღო ვაშინგტონში გამართულ ყოველწლიურ 42 კილომეტრიან მარათონში (Marine Corps Marathon).

- 2017 წლის 18 სექტემბერს სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების მონაწილეობით გაიმართა სპორტული ღონისძიება 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მაიორ შალვა დოლიძის სახელობის ტურნირი. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 52 დაჭრილმა/დაშავებულმა სამხედრო მოსამსახურემ რვა სხვადასხვა სპორტულ სახეობაში.
- 2017 წლის 21 სექტემბრიდან 01 ოქტომბრის ჩათვლით კანადაში, ქ. ტორონტოში გაიმართა „ძლიერთა თამაშები“, სადაც მონაწილეობა მიიღო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 15 დაჭრილმა/დაშავებულმა სამხედრო მოსამსახურემ და 14 ოჯახის წევრმა. მჯდომარე ფრენბურთში დაჭრილ/დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა გუნდმა აიღო ოქროს მედალი.
- 2017 წლის 4 ნოემბრიდან 12 ნოემბერის ჩათვლით ხორვატიაში ქ. პორეჩში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი მჯდომარე ფრენბურთში, სადაც მონაწილეობა მიიღო საქართველოს პარაფრენბურთის ეროვნული ნაკრებმა, რომელიც დაკომპლექტებული იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეებით.
- 2017 წლის 16 დან-19 დეკემბრის ჩათვლით უკრაინაში ქ. კიევში გაიმართა „გმირთა თამაშები“, სადაც მონაწილეობა მიიღო 2 დაჭრილმა/დაშავებულმა სამხედრო მოსამსახურემ, რომელმაც მოიპოვა პირველი ადგილი სპორტის კომბინირებულ სახეობაში - სროლა და ძალოსნური ფიტნესი.
- 2018 წლის 13 მარტიდან 25 მარტის ჩათვლით ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩრდილოეთ კაროლინაში, გაიმართა „საზღვაო ქვეითთა თამაშები“ (Marine Corps Trials), სადაც მონაწილეობა 7 ქვეყნის 173-მა დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურემ მიიღო. შეჯიბრი გაიმართა, როგორც ინდივიდუალურ, ასევე სპორტის ჯგუფურ სახეობებში: ცურვა, მშვილდოსნობა, ველოსპორტი, სირბილი, მძლეოსნობა, მჯდომარე ფრენბურთი, პარაკალათბურთი, სროლა და ნიჩბოსნობა ტრენაჟორზე. ქართველმა სამხედრო მოსამსახურეებმა 6 ოქროს, 6 ვერცხლის და 8 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.
- 2018 წლის 7-12 ივნისის ჩათვლით, შოტლანდიაში ქ. ედინბურგში არასამთავრობო ორგანიზაცია „Allied Forces Foundation“ მხარდაჭერით გაიმართა სპორტული ღონისძიება-მარშირება რთულ რელიეფზე, სადაც მონაწილეობა მიიღო საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 4 კაცთანმა გუნდმა (2 დაჭრილი სამხედრო მოსამსახურე, 2 თანმხლები პირი). აღნიშნულ ღონისძიებაზე მოპოვებულ იქნა 1 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი.
- 2018 წლის 8-10 ივნისის სერბეთის რესპუბლიკის ქ. ბელგრადში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი პარაკანოეში, სადაც მონაწილეობა მიიღო ორმა დაჭრილმა/დაშავებულმა სამხედრო მოსამსახურემ.
- 2018 წლის 21-27 ოქტომბერს საქართველოს თავდაცვის ძალების 15 დაჭრილმა და დაშავებულმა სამხედრო მოსამსახურეებმა და მათი ოჯახის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ავსტრალიაში, ქ. სიდნეიში გამართულ „ძლიერთა თამაშებში“, სადაც მჯდომარე ფრენბურთის გუნდმა მეორედ მოიპოვა ოქროს მედალი.

- 2018 წლის ოქტომბერში ავღანეთში მძიმედ დაჭრილმა სამხედრო მოსამსახურემ მონაწილეობა მიიღო პარამკლავჭიდში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა.
- 2018 წლის 24-26 სექტემბერს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში გაიმართა რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მაიორ შალვა დოლიძის სახელობის ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 81 დაჭრილმა და დაშავებულმა სამხედრო მოსამსახურემ სპორტის 12 სახეობაში.
- 2018 წელს საქართველოს თავდაცვის ძალების ხუთმა დაჭრილმა და დაშავებულმა სამხედრო მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს აშშ-ში, ქ. ვაშინგტონში გამართულ საზღვაო ქვეითთა ყოველწლიურ მარათონში.
- დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების მხარდაჭერის ფარგლებში: 2019 წლის 2-12 მარტს აშშ-ში, კალიფორნიაში ჩატარდა „საზღვაო ქვეითთა თამაშები“, სადაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 12 დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურით დაკომპლექტებულმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა და მოიპოვა 38 მედალი (20 ოქრო, 10 ვერცხლი, 8 ბრინჯაო).
- 2019 წლის 6-12 ივნისს არასამთავრობო ორგანიზაცია „Allied Forces Foundation“ მხარდაჭერით ქ. ედინბურგში (შოტლანდია) გამართულ სპორტულ ღონისძიებაში, „მარშირება რთულ რელიეფზე“, მონაწილეობა მიიღო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 6 კაციანმა გუნდმა, სადაც ჯამში მოპოვებულ იქნა 6 მედალი (4 ოქრო, 2 ბრინჯაო);
- 2019 წლის 24-29 ოქტომბერს აშშ-ში გამართულ საზღვაო ქვეითთა ყოველწლიურ 42-კილომეტრიან მარათონში საქართველოს თავდაცვის ძალების ხუთმა დაჭრილმა და დაშავებულმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო მონაწილეობა.
- 2020 წლის 29 თებერვლიდან 11 მარტის ჩათვლით აშშ-ში, კალიფორნიაში, „საზღვაო ქვეითთა კორპუსის“ ყოველწლიური თამაშები გაიმართა, სადაც სხვადასხვა ქვეყნის დაჭრილ/დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 16 კაციანი გუნდმა პარასპორტის 9 სახეობაში (პარაფრენბურთი, სროლა, მშვილდი, ცურვა, როუმინგი, სირბილი, ხელის ველოსიპეტი, ბირთვის სროლა, შტანგა) მიიღო მონაწილეობა და ჯამში მოიპოვა 41 მედალი. ტურნირისთვის სამხედრო მოსამსახურეებით დაკომპლექტებულმა ნაკრებმა ინტენსიური მომზადება გაიარა.
- თავდაცვის სამინისტროს დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეები სისტემატიურად იღებენ მონაწილეობას ა(ა)იპის „ახალგაზრდული მედია კავშირი“ და ა(ა)იპის „მოდრაობა ხელმისაწვდომი გარემოსათვის“ მიერ ორგანიზებულ სპორტულ ღონისძიებებში: პარაველომარათონი, აფროსნობა, ბოულინგი, პარაპლანით ფრენა და სხვა.